

საპრებიელი

ქართული
ზოგადი

საერთოლი გაზეთი

გამოიცემს 1990 წლის 28 დეკემბრიდან

პარასკევი, 21 ივნისი

1996 № 55 (280)

ფასი 30 თეთრი

„საპრებიელის“ პრიზი ჩაეიპა!



უცხოური მანქანებით, „მარშრუტებით“ თუ ფეხით მოსული საზოგადოება — ფეხბურთელები, მათი ცოლები, ჟურნალისტები — დიდი ოვაციით შეხვდნენ კლუბ „ჩემპიონის“ მცირე პოლიუმზე ასულ გიორგი ქიქელაძეს — საქართველოს 1995-96 სეზონის საუკეთესო ფეხბურთელს.

— კლუბი „ჩემპიონი“ ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მირზა გელაშვილის თაოსნობით დაარსდა იგი დახურული ტიპისაა, ასე რომ, დროის მეუღლე, მშვიდად გასატარებლად საუცხოო ადგილია. ახლო მომავალში კლუბი სალონურ-კულტურული ფაილით აპირებს საქმიანობას, თუმცა, არც სპორტს დაგვიწყებთო, თქვენ „ჩემპიონის“ ხელმძღვანელებმა სხვა თუ არაფერი, სახელი აქვთ ისეთი...

— გიორგიმ, ასე გამორჩეულმა მოედანზე, ცხოვრებაში კი უბრალო და თავდაბალმა პიროვნებამ, სცენაზე მარტო ჯდომა ვერ იფარა და მეტობა ფეხბურთელებს სთხოვა გვერდის დამშვენება. ეტყობა, უიმთოდ სცენაზე ვერ გასძლო, თანაც, ამ, მისთვის გამორჩეულ დღეს, თავად არ ისურვა მეგობრებისგან გამორჩევა.

არადა, გუშინ სწორედ გამორჩეულობისთვის დააჯილდოვეს ინგლისის პრემიერის, ალმონენად აღიარებული ქართველი ლეგიონერი.

შეხვედრა-საღამო კლუბის პრეზიდენტმა მირზა გელაშვილმა გახსნა, გიორგი ქიქელაძის საუკეთესო ფეხბურთელმა მიულოცა, შემდეგ კი სარბიელელი მამუკა კვარაცხელია გაუძღვა საღამოს და, უპირველესად, ცხადია, „სარბიელის“ გამოკითხვაში გამარჯვებულ ფეხბურთელს „სარბიელის“ მიერ დაწესებული საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი გადასცა. დამსწრეთ ხელმოწერა ოვაციით გამოხატეს გამოკითხვის შედეგისადმი თანხმობა.

სწორედ მაშინ, როცა ჟურნალისტები გიორგის შეკითხვების დაყრას ვაპირებდით, მან თავის მეგობარ ფეხბურთელებს უხმო სცენაზე და ასე ვიხილეთ ერთად შეკრებილი ძმები არველაძეები, ყველაშვილი, შელია... ჩვენც სხვა რა გვინდოდა, მშვენიერი პრეს-კონფერენცია გამოგვივიდა ამდენი ცნობილი ქართველი ფეხბურთელის მონაწილეობით.

ქიქელაძის „სიტყვაში“ დარჩენა-არდარჩენაზე იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ ამ თემაზე თავიდან კითხვა არც დასმულა. საუბარი ისევ ჩვენი ნაკრების მანქანებზე სჯა-ბასით დაიწყო. შეუძლია თუ არა საქართველოს ეროვნულ გუნდს საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლა? ფეხბურთელთა საერთო აზრით, რა თქმა უნდა, იტალიას და ინგლისს ძლიერი ნაკრებები აქვთ და მათი ძალა უძვეველია, თუმცა, ახლა ვერც ჩვენ ვიტყვი, რომ გამოუცდელი ვართ, განვივლია შესარჩემა ეტაპმა ეს დეფიციტი შეგვივსო.

შოთა არველაძე — რად უნდა მტკიცება, რომ ძლიერ ქვეყნებში მოგვხვდით. იტალიას ძლიერი ნაკრები აქვს, ინგლისური ფიასკოს მიუხედავად, ჩემი აზრით, იტალიელთა მარცხის პერე უფრო გავიჭირდება, რადგან ისინი შეეცდებიან ყველას დაუმტკიცონ, რომ მათი წარუმატებლობა შემთხვევითი იყო. ინგლისელებთანაც ძნელი მატჩები გველის — ევროპის ჩემპიონები თუ გახდნენ, მათგან ყველა შეხვედრაში გამარჯვებას მოითხოვენ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურები ჩამოვყაროთ.

მიხეილ ყაველაშვილი — ნაკრების თამაშებმა ნათლად დაგვანახა, რომ ნებისმიერ მეტოქესთან შეიძლება გამარჯვება.

არჩილ არველაძეს ტრავმაზე კითხეს და, ფორმის აღსადგენად მცირე დრო დამჭირდებაო, გვითხრა.

რეზო არველაძე — ჩვენს ჯგუფში აშკარა ფავორიტები ინგლისი და იტალია არიან. მათთან შეხვედრები დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ყველაფერი უნდა ვილონოთ წარმატებისთვის.

გიორგი ქიქელაძემ, კითხვაზე, სად აპირებს კარიერის გაგრძელებას, ეს განაცხადა: ახსურდული და ტყუილია ის ცნობა, თითქოს „სიტყვაში“ ვრჩები, მაგრამ სად გადავალ, ეს ჯერ არ ვიცი. მიხეილ ყაველაშვილი კი კვლავ მანქანებში რჩება და ეს ერთხელ კიდევ დავგვიდასტურა.

სატრანსფერო საფიქრალი მურთაზ შელიას ჯერ არა აქვს, რადგან „ალანიას“ შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაში თამაშს აპირებს, შემდეგ კი, დავფიქრებო.

„პოპმურეში“ ყოფილას რეზო არველაძემ რომ თამაშს მოუმატა, ამაზე ესაც მეტყველებს — თითქმის ყველა მატჩში საუკეთესო მოთამაშედ სწორედ მას ასახელებდნენ — მე ჩემი თავისთვის მსურდა დამეტკიცებინა, რომ დროებითი ჩაგარდა მქონდა და საამისოდ ბევრი შრომაც დამჭირდა — გვითხრა აწ უკვე „მეზღუდის“ ქართველმა ლეგიონერმა.

ამის შემდეგ ქიქელაძემ და ჟურნალისტებმა მცირე ხნით როლები გააცვალეს.

გიორგი თავად შემოგვიბარუნდა კითხვით — რატომ ხდება ხოლმე, რომ პრესაში ჩემს ნათქვამს ამახინჯებთ?

საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა გიორგი ქიქელაძეს სთხოვა, — ყველაზე არ ვამბო. ვიტყვი ერთს და, გახტოში სულ სხვას აქვეყნებენ. მეგობრები კი გამოგებენ, მაგრამ მათ გარდა უამრავი ადამიანი კითხულობს დამახინჯებულ ფრაზებს. გვითხებით, რატომ ხდება ეს? — გულისტკივილით იკითხა ქიქელაძემ.

რა დანახეთ ახალი ევროპის ჩემპიონატზე? ამ კითხვამ რეზო არველაძე ხუმრობის ხასიათზე დააყენა, ჯერ, ფორმებით, თქვა, შემდეგ კი სერიოზულად განაცხადა: „ახლა ფეხბურთში აქცენტი კოლექტიურ თამაშზეა გადატანილი და ამის გამო ვარსკვლავები ნაკლებად ჩანან. ფეხბურთი უფრო და უფრო ტოტალური ხდება, ვარსკვლავები კი ასეთ პირობებში ინდივიდუალობას კარგავენ.“ მისი აზრი უმცროსმა ძმამ, არჩილმა განავრცო: „ბოლო დროს თითქმის ყველა გუნდი ერთმანეთს დაემსგავსა.“

საქართველოს ინგლისში რომ ეთამაშა, რას იზამდაო, იკითხა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა. ფეხბურთელთა საერთო აზრი დიპლომატიურად ელვდა — თავს არ შევიტყუებდითო. ახალწვეულებიდან ვის მიგანიათ ნაკრების წევრობის ღირსად? „ეუთანზე ბი თემურ ქეცაბაძის, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ნაკრებს გადახალისება არ სჭირდება, — თქვა შოთა არველაძემ — თუმცა კი არიან ფეხბურთელები, რომლებიც უკვე თამაშობენ ნაკრების ღირსზე მაგალითად, ცხიტიშვილი“. გიორგი ქიქელაძემ კი ცხიტიშვილთან ერთად დემეტრადე და იაშვილიც დაასახელა.

შემდეგი იყო ტრადიციული ფოტორეპორტიორთა აპარატების ჩხაკუნა და ერთი ფოტოს გმირის თქმისა არ იყოს — მორჩა კინო, დავიშალეთ სახლებში.

მერაბ მაშულაშვილი
ბადრი აქთილაძის ფოტოები

შოთა არველაძე: თურქეთში ფულის გულისთვის არ დავრჩენილვარ

ასე გამოეხატა ქართველი ფეხბურთელი თურქეთში ნამუშევარი გერმანელი მწვრთნელის კრიტიკულ დაუმიან მოსაზრებას, რომელიც მან ევროპის ჩემპიონატზე აკრედიტებულ ჩვენს კორესპონდენტთან ღვათი კაკაბაძესთან საუბარში გამოთქვა: „არ გამოვირცხა, შოთა „ტრაბზონში“ თავისი შემოსავლებითაც კმაყოფილია და იმ თავისუფლებითაც, რომელიც ევროპაში არ ექნებოდა. შესაძლოა, მას ამიტომაც არ უნდა ევროპაში თამაში. არადა, შოთა ის ფეხბურთელია, ევროპაშიც რომ მიღწევდა დიდ წარმატებას.“

— რა მტკიცება უნდა, რომ მე თურქეთში ფულის გულისთვის არ ვრჩები? — გაოცდა შოთა — ყველამ იცის, რომ ჩემი ტყუპისცალი ახლა იმუშავებს ტრაბზანს. ჩვენ მხოლოდ ერთად გვსურს თამაში. ამიტომაც არ გადავსულვარ სხვა გუნდში. თუკი ერთად მიგვიწვევენ, რატომაც არ წავალთ?



